ხაშურის მოამბე

№21(345) 13 ივნისი, ორშაბათი, 2022 წელი

- ოფიციალური ვიზიტი ლატვიაში -

ხაშურისა და ბაუსკას შორის პარტნიორობის ხელშეკრულებგა განახლდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და ლატვიის რესპუბლიკის ბაუსკას მუნიციპალიტეტის მერმა აივარს ოკმანისმა, ხაშურისა და ბაუსკას მუნიციპალიტეტების მოქალაქეთა სახელით, პარტნიორობის განახლებულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.

ხელშეკრულება ითვალისწინებს ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას კულტურის, განათლების, სპორტის, ბიზნესს-ურთიერთობების, ახალგაზრდული პროგრამების და სხვა

მიმართულებებით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დელეგაციის შემადგენლობაში, თენგიზ ჩიტიაშვილთან ერთად, შედიოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი ნინო სუხიაშვილი.

ვიზიტის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის დელეგაცია შეხვდა ადგილობრივი პროფესიული სასწავლებლის სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის, სამუსიკო სკოლის, მუზეუმების, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ფერმერებს. დაისახა სამომავლო პარტნიორობის პერსპექტივები.

ბაუსკას მუნიციპალიტეტთან ხაშურის მუნიციპალიტეტს პარტნიორობა 2011 წლიდან აკავშირებს. ლატვიაში განხორციელებული მუნიციპალური რეფორმის შედეგად, ბაუსკას მუნიციპალიტეტი უკვე ოთხი მუნიციპალიტეტის გაერთიანების სახითაა წარმოდგენილი, შესაბამისად, პარტნიორული ხელშეკრულების განახლების საჭიროება ამ გარემოებამ გამოიწვია.

ბაუსკას მუნიციპალიტეტმა პარტნიორული ხელშეკრულება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათ სხვადასხვა მუნიციპალიტეტთან განაახლა.

ხაშურის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელმა სიმონ გულედანმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილამა მუნიციპალიტეტში მიმდინარე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერეს. კერძოდ, მოინახულეს გომსა და ტეზერში შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე, გაეცვნენ დიდი და პატარა ფლევის, ტკოცის, ცოცხნარასა და ქემფერის საავტომობილო გზების მოწყობის მიმდინარეობას. პროექტები როგორც რეგიონებში გასახორციელებელი პროექტების ფონდის, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით

ხორციელებდება.

„ხაშურის მუნიციპალიტეტში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სოფლებში მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, მოწესრიგდება როგორც საავტომობილო გზების საფარი, ისე სანიაღვრე სისტემები. განახლებული ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს ადგილობრივების

უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას.“- აღნიშნა სიმონ გულედანმა.

წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტში, 8 მილიონ ლარამდე ღირებულების საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება იგეგმება.

თანასწორობა

ყველა ადამიანმა უნდა შეძლოს ნებისმიერ პროცესში თანაბარი თანამონაწილეობა

ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებით შესაძლებლობებით, ღირებულებებით,ინტერესებით,ზუსტად მრავალფეროვნება განაპირობებს საზოგადოების პროგრესს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 ივნისის №31 განკარგულებით, დროებითი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე იმუშავებს.

ჯგუფში არიან საკრებულოს წევრები,მერიის თანამშრომლები და ასევე მოწვეული წევრები. სამუშაო ჯგუფს უხელმძღვანელებს საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი.

დროებით სამუშაო ჯგუფს დაევალა,სამი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები, დასკვნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალურ პროგრამასთან დაკავშირებით.

ხაშურის მუნიციპალიტეტი ჩართულია საზოგადოება „ბილიკის“ და სლოვაკური ორგანიზაცია TENENET-ის ერთობლივ პროექტში „შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოში“. სამუშაო ჯგუფის წევრი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თათია ბროლიძე, ამ დღეებში, ჯილდოთი „საუკეთესო ლიდერი“ დაბრუნდა პროექტის ფარგლებში ორგანიზებული ტრენინგიდან, რომლის შესახებ ინფორმაციას გვიზიარებს:

- პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ ექვსდღიან ინტენსიურ ტრენინგს დავესწარი ქალაქ ქობულეთში, ჩემთან ერთად ესწრებოდნენ მერიის სოციალური მუშაკი თინათინ კაპანაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი თათია ძინძიბაძე და იურიდიული სამსახურის სპეციალისტი ეთერ ხვედელიძე. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ საკმაოდ კომპეტენტური, პროფესიონალი ტრენერები სლოვაკეთიდან და საქართველოდან. სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებიდან ესწრებოდნენ, მუნიციპალიტეტების სოციალური სამსახურების, ბავშვთა დაცვისა და ზრუნვის განყოფილების, სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის, დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს და შშმ პირებთან მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, სულ 30 მონაწილე.

მოხდა უზარმაზარი ინფორმაციის გაცვლა და გამოცდილების გაზიარება. ასევე ჩვენ შევიმუშავეთ, მუნიციპალიტეტების მიხედვით, სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფთან და მერიის სამუშაო ჯგუფებთან, საბჭოსთან თანამშრომლობა. პირველ ეტაპზე ჩვენი გეგმების განსახორციელებლად გვჭირდება ბაზა, მონაცემები, შემდეგ კითხვარის შედგენა შშმ პირებისთვის, შესწავლა საქმიანობის,უნარ-ჩვევების და ა.შ. გადამზადების ნაწილშიც, ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად, მნიშვნელოვანია სხვადასხვა უწყებების მხარდაჭერა, სამუშაო ჯგუფში ჩართულია პროფესიული სასწავლებლის ხელმძღვანელიც. ასევე, ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობა იქნება ჩვენთვის პრიორიტეტი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხაში მინისტადიონის მოწყობა მიმდინარეობს

“სოფელ ცხრამუხაში მინისტადიონს ვაშენებთ. აღსანიშნავია, რომ პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით ხორციელდება. სპორტული სივრცეების არსებობა მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობისთვის. გარდა ამისა, „მონაწილეობითი ბიუჯეტირების“ ფარგლებში, მოსახლეობას არაერთი პროექტი აქვს დასახელებული, ვნახოთ რომელი გაიმარჯვებს და განხორციელდება, ეს ყველაფერი ადგილობრივებზეა დამოკიდებული. “-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად, სტადიონის მშენებლობის პროცესს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი გაეცნო. მისი განმარტებით, სოფელ ცხრამუხაში მინი სტადიონის მოწყობა მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 96 930 ლარს შეადგენს.

<u>მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის განცხადება</u>

ძვირფასო მოქალაქეებო!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური მიმართავს სისტემატურ მონიტორინგს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების უკანონოდ განთავსებისა და დაბინძურების პრევენციისთვის.

მონიტორინგის ფარგლებში, ქვიშხეთის ტერიტორიაზე გამოვლინდა ნარჩენების უკანონო განთავსების ფაქტი. ზედამხედველობის სამსახურმა სამართალდამრღვევის მიმართ გაატარა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები: შეადგინა სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა სასამართლოს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მოგმართავთ თხოვნით, ნუ დააბინძურებთ გარემოს, ნუ გახდებით სამართალდამრღვევი, რადგან ჩვენი მიზანია არა მოქალაქეთა დასჯა, არამედ დაბინძურების პრევენცია.

ამასთან, გაცნობებთ: მსგავსი ხასიათის სამართალდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მყისიერი რეაგირებისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მერიის ზედამხედველობის სამსახურს (ტელ: 243029)

ვინ იყო "ქართველი", რომელიც შიშის ზარს სცემდა ტერორისტებს და რომელიც კორონავირუსმა იმსხვერპლა

ორი წლის წინ, კორონავირუსმა მსოფლიოს დონის სპეციალისტი შეიწირა. მისი საქმიანობა იმდენად იყო გასაიდუმლოებული, რომ ბოლომდე ოჯახის წევრებმაც კი არ იცოდნენ ქვეყნის წინაშე მისი დამსახურების შესახებ. სურამში დაბადებულმა ავთანდილ წიწუაშვილმა (იგივე იცხაკ ილანმა) უამრავი საიდუმლო წაიყოლა სამუდამო სასუფეველში. იცხაკ ილანის ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო სამშობლოს. ამ შემთხვევაში, ისტორიულ სამშობლოს – ისრაელს. ქართველი ებრაელი ავთანდილ წიწუაშვილი 1956 წელს სურამში, ორთოდოქსი ებრაელების ოჯახში დაიბადა. იგი გახლდათ რაბინ გაბრიელ დავარაშვილის შვილიშვილი. ხოლო პაპის ძმა, რაბინი მოშე დავარაშვილი გასული საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო და 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაზეც აქვს ხელი მოწერილი. მეორე პაპის ძმა, იაკობ დავარაშვილი საქართველოს ებრაელთა მთავარი რაბინი იყო გასული საუკუნის 60-70-იან წლებში. 1973 წელს ავთანდილ წიწუაშვილი ოჯახთან ერთად დაუბრუნდა ისტორიულ სამშობლოს - ისრაელს და თითქმის ორმოცდაათი წელი ემსახურა მის თავდაცვასა და უსაფრთხოებას. 1976-1980 წლებში იგი მსახურობდა ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებში, სადაც ლეიტენანტის წოდება მიიღო. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში ახალგაზრდა ავთანდილ-იცხაკი თავისუფლად ფლობდა ხუთ ენას: ქართულს, რუსულ, ინგლისურს, არაბულსა და ივრითს. ჩემი აზრით, ამ გარემოებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი მის მომავალ ცხოვრებაში.



1982 წელს, უკვე სამოქალაქო ყოფას შეჩვეული იცხაკი მოულოდნელად ისრაელის კონტრდაზვერვის სამსახურში (ანუ "შაბაკში") დაიბარეს და ხანგრძლივი გასაუბრების შემდეგ "საბჭოთა განყოფილებაში" (საბჭოთა კავშირის შპიონაჟის წინააღმდეგ მებრძოლი დანაყოფი) სამსახური შესთავაზეს. აქ მცირე გადახვევას გავაკეთებ, რათა ერთად გავიხსენოთ. ისრაელმა, რომელიც დაარსების პირველ წლებში სოციალისტური ორიენტაციის იყო, სპეცსამსახურების

სახეობები და სტრუქტურა საბჭოთა კავშირის ანალოგიურად საგარეო დაზვერვა ("მოსადი"), კონტრდაზვერვა ("შაბაკი") და სამხედრო დაზვერვა ("ამანი") ახლად შექმნილი სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარ ინსტრუმენტებად იქცა. მაშინაც და დღესაც ისრაელის სპეცსამსახურები გამოირჩეოდა და გამოირჩევა სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებისგან. იგი არის მცირერიცხოვანი და მაღალი დონის პროფესიონალებით დაკომპლექტებული. ამავე დროს, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ისრაელის სპეცსამსახურების თანამშრომლები სამშობლოს განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას ფანატიკური სიყვარულით გამოირჩევიან. ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს უმძლავრეს სპეცსამსახურებს შორის ებრაელებს ისტორიულად ყველაზე ნაკლები მოღალატე ჰყავთ!

აი, სწორედ ასეთ სტრუქტურაში მიიწვიეს "სურამელი ჭაბუკი", რომელიც 2011 წლის სექტემბრის ჩათვლით ანუ, ფაქტობრივად, ოცდათხუთმეტი წელი, ერთგულად ემსახურა ისრაელის უსაფრთხოებას. ამ პერიოდში, მან ურთულესი გზა განვლო: იყო "შაბაკის" საგამოძიებო დეპარტამენტის რიგითი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი, ისრაელის სხვადასხვა რეგიონის კონტრტერორისტული დანაყოფების უფროსი, 2004-2008 წლებში ხელმძღვანელობდა საგამოძიებო დეპარტამენტს, ხოლო 2010-2011 წლებში იყო "შაბაკის" უფროსის მოადგილე. იცხაკ ილანს ერთი ნაბიჯი დააკლდა ისრაელის კონტრდაზვერვის შეფის პოსტის დასაკავებლად. პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნათანიაჰუმ, ქვეყნის შიდა პოლიტიკური ინტრიგების შედეგად, სხვა, კერძოდ იორამ კოენის კანდიდატურა ამჯობინა. უნდა ითქვას, რომ იცხაკ ილანი სიცოცხლის ბოლომდე ვერ ივიწყებდა ამ წყენას. თუმცა, მისი გარდაცვალების შემდეგ ნათანიაჰუმ, როგორც ყველგან და ყოველთვის ხდება ხოლმე, თბილი სიტყვები არ დაიშურა იცხაკ ილანის მისამართით.

იცხაკ ილანი იყო დიდი პროფესიონალი: საგამოძიებო ხელოვნების დიდოსტატი და ანტიტერორისტული ოპერაციების უმაღლესი დონის ანალიტიკოსი. ისრაელში მას მეტსახელი "ქართველი" შეარქვეს და როგორც მისი კოლეგები იხსენებენ "ქართველი" შიშის ზარს სცემდა ტერორისტებს. იცხაკ ილანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმატება იყო ისრაელში მოქმედი საბჭოთა ჯაშუშის, შაბთაი კალმანოვიჩის გამოვლენა და გამოტეხვა. იცხაკ ილანი ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებდა, რომ საბჭოთა აგენტის გამოვლენაში მას "სიცრუის დეტექტორი"(იგივე პოლიგრაფი დაეხმარა). ზოგადად იგი დიდად აფასებდა დაკითხვების ამ მეთოდს და მიაჩნდა, რომ "სიცრუის დეტექტორი" არასდროს ცდება, თუ ოპერატორმა სწორად შეარჩია კითხვები.

წლების განმავლობაში იცხაკ ილანი სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდა ისრაელის ტერიტორიაზე მოქმედი ტერორისტების გამოვლენისა და ფიზიკური ლიკვიდაციის ოპერაციების დაგემვასა და რეალიზაციაში. იგი სიცოცხლის ბოლომდე ტერორისტებისა და ექსტრემისტების წინააღმდეგ უმკაცრესი ზომების გამოყენების მომხრე იყო.

თუმცა, ჩემი აზრით, ტერორისტებისა და ექსტრემისტების წინააღმდეგ ამგვარი "ლიკვიდაციის სპეცოპერაციების" განხორციელება (რომლებიც ისრაელმა 1960 წლებში დაიწყო და, ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება) პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტის საუკეთესო გზა ნამდვილად არ არის. სპეცსამსახურების ამგვარი მოქმედებები, როგორც წესი, ახალ ტერორისტულ ტალღას წარმოშობს და მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლს იწვევს.

2011 წლის სექტემბრიდან იცხაკ ილანი თადარიგში გავიდა და სხვადასხვა ბიზნესპროექტში ჩაერთო. არ ივიწყებდა საქართველოსაც, სადაც 2013 წელს იყო ჩამოსული და მშობლიურ სურამსაც ეწვია. 2018 წელს იცხაკ ილანს ფილტვების უმძიმესი დაავადების დიაგნოზი დაუსვეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ ფილტვების გადანერგვის ოპერაცია გაუკეთეს. მისი მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა, თუმცა 2020 წლის სექტემბერში კორონავირუსით დაინფიცირდა და ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს

ბესიკ ალადაშვილი

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20)

სიმონ მაისურაძე: „1924 წლის აგვისტოს თვეში მომხდარი მენშევიკური ავანტურისტული გამოსვლების დროს, ჩვენი რაიონის (ხაშურის) პარტიისა და კომკავშირის წევრები უნდა გადავსულიყავით საჩხერისა და ჭიათურის რაიონეში, რადგან აღნიშნული რაიონები დროებით ხელთ ჩაიგდეს ავანტურისტებმა. გორის სამაზრო კომიტეტის მაშინდელი მდივნის არჩილ გიორგაძის განკარგულებით ატრიადის უფროსად მე დამნიშნეს, ხოლო სამხედრო კომისრად გომის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ალექსანდრე ცხოვრებაშვილი. გადავედით საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში. წითელი არმიის ნაწილებთან ერთად ამოცანა შევასრულეთ, ავანტურა ჩაქრობილ იქნა. დავბრუნდით ალში, სადაც იყო სამხედრო შტაბი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სიმონ კაპანაძე (შტაბის თავმჯდომარე), წევრებათ ხაშურლები ისიდორე ლომიძე, სიმონ პაქსაშვილი, დათიკო ლომსაძე, სურამის სამხედრო ნაწილის ერთ-ერთი ოფიცერი და ერთიც პოლიტმუშაკი. ატრიადი განაწილდა ასეულებათ. ერთ-ერთი ასეულის მეთაურად მე დამნიშნეს. ასეულით გამგზავნეს ერთ-ერთ პასუხსაგებ უბანზე. ამოცანა შესრულებულ იქნა, დამთავრდა ყოველგვარი ოპერაციები“.

ხაშურელ რევოლუციონერთა მოგონებებიდან განსაკუთრებით საინტერესოა სიმონ კაპანაძის მოგონებები. იგი ხელმძღვანელობდა ალში შექმნილ შტაბს. მის მოგონებებში შეძლებისდაგვარად კარგად არის ნაჩვენები რაიონში შექმნილი ვითარება, კერძოდ სოფლებში – ალში და წაღვლში დატრიალებული ამბები.

მოვუსმინოთ სიმონ კაპანაძეს: „1924 წელს მენშევიკებმა აჯანყება მოაწყეს. ხაშურში შეგვატყობინეს, რომ ჭიათურიდან მენშევიკების დამარცხებული ბანდა მოდის და დააპატიმრეთო. მე შტაბის უფროსად დამნიშნეს და გამომიყვეს ასი შეიარაღებული ჯარისკაცი. გადავედით ალში, სოფლებიდანაც შემოგვიერთდნენ და შტაბის რიცხვი 150-მდე გაიზარდა. სოფელში დავაყენე რაზმი, თან გავაფრთხილე, რომ სოფლის უდანაშაულო ხალხს არ შეეხებოდნენ. აქ ვნახე ჩემი ამხანაგი ენუქა ქიტიაშვილი და მისი ძმა მელქო. მათ ხშირად ვეკითხებოდი ტუსაღებზე და მავნებლებზე, სანდო ხალხი სხვაც მყავდა. სწორედ ამ დროს შემატყობინეს, რომ წაღვლში მავნებლები დაიჭირეს და უნდა დასაჯონო. წავედი წაღვლში. აქ მე მტირალი ხალხი დამიხვდა, ზოგი შვილს ტიროდა, ზოგი ქმარს, ზოგი ძმას, ზოგი მამას. შევეკითხე სად არიან დაპატიმრებულები-მეთქი. წამიყვანეს ერთ დიდ ბოსელში, სადაც საცოდავად ეყარნენ ჩემი ყოფილი ამხანაგები და ნაცნობები, ჩემი ძველი თანასოფლელები. მე ისინი გავათავისუფლე და უკან დავბრუნდი. ალში ბევრს ვაჩუქე თავისუფლება, რომელთაგან იყვნენ ახალგაზრდები, სტუდენტები და აი ერთხელაც ჩემთან მოხუცი კაცი შემოიყვანეს. იგი მამაჩემის ამხანაგი როსტია ნოზაძე აღმოჩნდა. მან ვერ მიცნო და როცა მე ჩემი ვინაობა ვაცნობე, ძალზე გაეხარდა, ისიც გავანთავისუფლე. ალში ერთ კვირას დავრჩით. არავინ დამისჯია უდანაშაულოდ. ზოგმა არაკომუნისტმა კიდეც დამასმინა, არც თვითონ არავის სჯის და არც ჩვენ გვაძლევს ამის ნებასო, მაგრამ აი რა პასუხი მიიღეს: თქვენ თქვენს საქმეს მოუარეთო.

რამდენიმე ხნის შემდეგ სამეულიდან საიდუმლო ბრძანება მოვიდა: ადგილობრივ კომუნისტებს გადააბარე ყველაფერი და ხაშურში დაბრუნდიო. მეც ასე მოვიქეცი“ ( )

ასე ახასიათებენ ხაშურელი რევოლუციონერები რაიონში შექმნილ მდგომარეობას.

მაგრამ ეს ღონისძიებები, როგორც ჩანს, საკმარისი არ იყო. მთავარი მაინც წინ იყო. ხალხის დაშინების მიზნით აუცილებელი იყო ასევე ხალხის „ნებითა და მოთხოვნით“ განეხორციელებინათ რეპრესიები. ამის შესახებ სანქცია უკვე გაცემული იყო ზემოდან.

„ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავად-აზნაურობის პროცენტი“

საქართველოში და ხაშურშიც დაიწყო აღვირახსნილი სისხლიანი ანგარიშსწორება.

ქართლში საერთოდ და ხაშურის რაიონში, როგორც ეს ხაშურელ რევოლუციონერთა მოგონებებიდანაც ჩანს, აჯანყება არ მომხდარა, სიწყნარე სუფევდა. „... გორის მაზრაში საერთოდ, და ხაშურის რაიონში კერძოთ, მენშევიკების გამოსვლის ლანდიც არ ყოფილა...“ - აღიარებდა თვით ოფიციალური პრესაც.

მაგრამ როგორც სჩანს, რაიონში შექმნილი ასეთი სტაბილური მდგომარეობა სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ აქ სისხლიან ანგარიშსწორებას ადგილი არ ექნებოდა. ზემოდან წამოსული დირექტივა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებაში ოდნავ შემჩნეულების განუკითხავად დასჯას მოითხოვდა, ცხადია ხაშურიც ვერ ასცდებოდა ამას.

მთელ საქართველოში და მათ შორის ხაშურის რაიონის სოფლებს მოედვნენ როგორც ცენტრიდან, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წარგზავნილი აგიტატორები, რომლებიც აწყობდნენ მრავალრიცხოვან მიტინგებს და გლეხებს „განუმარტავდნენ“ მიმდინარე მომენტს და მომხდარი აჯანყების შესახებ აწვდიდნენ ინფორმაციას.

„ამ მიტინგებს აუარებელი ზღვა ხალხი ესწრება ხოლმე. მიტინგებზე გამოაქვთ რეზოლუციები, სადაც მოითხოვენ თავად-აზნაურების სასტიკად დასჯას. ზოგან ამასაც არ სჯერდებიან და თავიანთი სამართლით ასამართლებენ თავადებს“( )

3 სექტემბერს ხაშურის რკინიგზის მუშათა კლუბში გაიმართა რკინიგზელების და მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი. „ხაშურის მუშა-მოსამსახურეები ავანტურისტების შესახებ“ - ასეთი სათაურით აქვეყნებს წერილს მიტინგზე მიღებულ რეზოლუციას გაზეთი „კომუნისტი“.

„სადგურ ხაშურის რკინისგზის და ქალაქ ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება მთელი რიგი ამხანაგებისა მიმდინარე მომენტზე და მენშევიკების ავანტურის შესახებ, დაადგინა:

1. ის, რაც მოხდა საბჭოთა საქართველოს ზოგ ალაგას ავანტურისტების ბანდიტურის გამოსვლები, მოხდა მე-2 ინტერნაციონალის დამქაშების, საერთაშორისო შულერების და მუშათა და გლეხთა გამცემლების მენშევიკების ხელმძღვანელობით.
2. მიტინგი მოითხოვს ამ არამზადების წინააღმდეგ იქნეს ხმარებული სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა. მათი მოქმედება არის უსაშინლესი ბნელი კონტრ-რევოლუციური მოქმედება.
3. მიტინგი მოითხოვს საქართველოს კომპარტიის თითოეული წევრის მოკვლისათვის ათეულ და ასეულ ბანდიტის დახვრეტას, რომელ ბანდიტებსაც ხელმძღვანელობს მენშევიკების არალეგალური ცეკა.
4. ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა ხელისუფლებისაგან მიიღოს სასტიკი ზომები და აღგავოს საბჭოთა საქართველოს ტერიტორიიდან ყველა ის პირები, რომლებმაც გაბედეს და ბანდიტური გამოსვლებით გამოიწვიეს მშრომელი მასის მყუდრო აღმშენებლობით ცხოვრებაში არევ-დარევაში შეტანა.
5. ჩვენ, როგორც ერთი კაცი, მზად ვართ იარაღით ხელში დავდგეთ მუშათა კლასის ინტერესების სადარაჯოზე და მტკიცედ დავიცვათ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი.
6. ჩვენ მოვალეთა ვსთვლით ჩვენ თავს, სასტიკი ბრძოლა ვაწარმოვოთ ანაფორიანების, ჩარჩ-ვაჭრების, მემამულეების, ავანტურისტ მენშევიკების გენერლების და სხვა მუქთახორების გამოსვლების წინააღმდეგ.

ძირს ავანტურისტები და კაპიტალისტების დაქირავებულნი!

სიკვდილი მშრომელ ხალხის მყუდრო ცხოვრების დამრღვევთ და ამწიოკებლებს!

შორს ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან მუშათა ყველა მტრები!

ძირს ავანტურისტული პარტია!

გაუმარჯოს მშრომელ სოლიდრობას ამიერ-კავკასიის ყველა ერების შორის!

გაუმარჯოს კომინტერნს და მის დიად მებრძოლებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა საქმისათვის!

გაუმარჯოს კომუნიზმს!“.

როგორც ვხედავთ, მიტინგის მონაწილეები არა მარტო აჯანყების მონაწილეების, არამედ ყველა „...ანაფორიანების, ჩარჩ-ვაჭრების, მემამულეების, ავანტურისტ მენშევიკების გენერლების“ და სხვათა მკაცრად დასჯას მოითხოვენ.

იმავე დღეს, იმავე რკინიგზის მუშათა კლუბში კვლავ იმართება მუშა-მოსამსახურეთა და მშრომელ მასწავლებელთა საზოგადო კრება, რომელზეც კვლავ მენშევიკების ე. წ. „ავანტურის“ საკითხი იდგა. აბობოქრებული „ხაშურის მუშების ხმა“ (ასეა დასათაურებული ინფორმაცია გაზეთში) ცას წვდებოდა“.

„კრებამ გამოიტანა რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია, რომ ხაშურის მუშა-მოსამსახურენი მხარში უდგებიან „ჩოხიან-ანაფორიანების“ მთავრობის ასალაგმავად, რომლებმაც მოინდომეს ჩვენი მუშათა ცხოვრების დარღვევა.

ხაშურის მუშა-მოსამსახურე მოითხოვს მთავრობისგან, რომ მუშა-მოსამსარეთა სისხლის მსმელი ბანდიტები დაისაჯონ უსასტიკესი სასჯელით – სიკვდილით.

მუშის რისხვა ბანდებს!

ზიზღი კონტრ-რევოლუციონერებს!

სალამი წითელი არმიის, მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის მებრძოლს!

სალამი ბანდიტების გამნიავებელ მუშათა ძლიერ ხმას!“

და ხაშურში, მის რაიონში დაიწყო „მენშევიკების ავანტურის მონაწილეთა“ რეპრესიები. „ბანდიტების გამნიავებელ მუშათა ძლიერ ხმას“ ამოფარებულმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ პირადი შეხედულებისამებს, ყოველგვარი წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს გვერდის ავლით განახორციელეს უდანაშაულო ადამიანთა რეპრესიები, რომელითაც არავითარი კავშირი არ ჰქონებიათ აჯანყებასთან. ძირითადად ესენი იყვნენ თავად-აზნაურობის, სამღვდელოების, ინტელიგენციის, ვაჭრების წარმომადგენლები. მათ ფიზიკურ განადგურებას მოითხოვდნენ ზემოდანაც და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელისუფლება დამკვრელური ტემპით შეუდგა ზემოდან წამოსული დირექტივის განხორციელებას.

აჯანყების დღეებშივე ხაშურის რაიონში დაპატიმრებულ იქნა არაერთი ადამიანი, რომელთა ერთი ნაწილი ადგილზე დახვრიტეს, ხოლო მეორე ნაწილი გორში. აქვე, გორის საპატიმროში, არაერთი ხაშურელი ელოდა განაჩენს.

ხაშურში დააპატიმრეს და დახვრიტეს დიმიტრ (მიტუშა) აბაშიძე, მიხეილ (მიხა) დაბრუნდაშვილი, ნიკო სიხარულიძე, სიმონ ბაბლიძე...

მიტუშა აბაშიძე ზემო ჭალაში (დღევანდელი ჭალისუბანი) სახლობდა. როგორც ძველი თაობის წარმომადგენლები გადმოგვცემენ იგი არ ყოფილა „სახელგანთქმული გლეხების აწიოკებითა და დარბევით“ (ასე ახასიათებს მას გაზეთი „მუშა“ თ.ლ.

ვლადიმერ არბოლიშვილი გვიამბობს: „მიტუშა აბაშიძე დარდიმანდი, მოქეიფე კაცი იყო. ბატონყმობა გადავარდნილი იყო, მაგრამ თავის ძველ უფლებებს ებღაუჭებოდა. მიუხედავად ამისა ბოროტი არ იყო. უბრალოდ ცხოვრობდა, ყვითელი ბუშლატი ეცვა, მენშევიკების ფორმა. მენშევიკების გვარდიაშიც იყო“.

ალბათ ამიტომაც დახვრიტეს, არ აპატიეს რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პერიოდში გვარდიაში მსახურობდა.

როცა დასახვრეტად წაუყვანიათ ზემო სერისკენ, ერთი რკინის მანეთიანი ამოუღია, რაც ებადა თურმე.

მასთან ერთად დახვრიტეს მიხა დაბრუნდაშვილი. იგი ვაჭრობას ეწეოდა და საკმაოდ მოზრდილი მაღაზია გააჩნდა დღევანდელი კოსტავას ქუჩის დასაწყისში მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და საცხოვრებელი ბინების გასწვრივ. პირველი გილდიის ვაჭრად ითვლებოდა. საქონელი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან შემოჰქონდა. მისი მაღაზია განთქმული ყოფილა. მოსახლეობაში კარგი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ჩაბმული ყოფილა. ეწეოდა ქველმოქმედებას. ხაშურის სხვა ვაჭრებთან ერთად მას საკმაოდ მოზრდილი თანხა გაუღია ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის შენობის (პირველი საშუალო სკოლა) მშენებლობისთვის.

<u>ნიკო სიხარულიძე</u>

***

30-იან წლებშიც სუსტად არის წარმოდგენილი მრეწველობის დარგები. ამ პერიოდში ხაშური კვლავ რჩებოდა სატრანსპორტო მრეწველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. ქალაქის ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა რკინიგზის ტრანსპორტი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები: ელდეპო, საორთქლმავლო დეპო, სავაგონო დეპო, სალიანდაგო სამსახური და სხვა.

30-იანი წლებიდან საფუძველი ეყრება ადგილობრივი მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარებას, რასაც ხელს უწყობდა მანამდე რაიონში გავრცელებული ზოგიერთი საქმიანობა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1929 წელს ხაშურში აგურის ქარხნის გახსნა. მეაგურეობა მანამდეც იყო განვითარებული ხაშურში. განსაკუთრებით ჭალის უბანში, სადაც კერძო სააგურე ჰქონდათ გამართული. აქ იყო აგურისთვის საჭირო ნედლეული, რომლითაც მაღალი ხარისხის აგური მზადდებოდა კუსტარული წარმოების პირობებშიც. სწორედ ეს ნედლეული გახდა საფუძველი აქ, ჭალისუბანში, აგურის ქარხნის დაარსებისა, რომელმაც 70-იან წლებამდე იარსება.

თუ როგორ სუსტად იყო წარმოდგენილი მრეწველობა ხაშურში მეორე მსოფლიო ომამდე, 1938 წლის 24 თებერვლის ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული წერილი „დიდია ჩვენი მიღწევებიც“ მეტყველებს. მასში ვკითხულობთ: „საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 17 წლის განმავლობაში შეიქმნა რაიონის საკმაოდ ძლიერი ადგილობრივი მრეწველობა. მის გამგებლობაშია აგურის, ლიმონადის, სამხერხაო და საკრაოტე საწარმონი ხაშურში, აგრეთვე სამთა-მადნო ნედლეულის დამამუშავებელი საწარმო სურამში“.

ეს არის და ეს მრეწველობის სხვა დარგები ამ დროს არა თუ ხაშურში, რაიონშიც არ არის.

გაზეთის იმავე ნომერში აღნიშნულია: „მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იცვალა სახე ხაშურმა, შეიქმნა ახალი ქუჩები, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს აიგო ელდეპო, აზნევთისა და სხვა მრავალი შენობა..

აიგო აგრეთვე ახალი აბანო, საავადმყოფო, რაიკომის შენობა, მოეწყო სასტუმრო და სხვა. ამჟამად მიმდინარეობს და ახლო ხანში დამთავრდება სასტუმროს გვერდით საბინაო სახლის მშენებლობა.

ხაშურმა სახე იცვალა. ახლო ხანში იგი უნდა გახდეს მოწინავე და კეთილმოწყობილ რაიონულ ცენტრად“.

ხაშურის სახეცვლილებასა და მის კეთილმოწყობილ რაიონულ ცენტრად გადაქცევაში ამ ეტაპზე მხოლოდ რკინიგზა ამბობდა გადამწყვეტ სიტყვას.

30-იანი წლების დასაწყისი მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა ხაშურის რკინიგზის კვანძზე. ეს იყო ხაშური-ზესტაფონის სარკინიგზო მაგისტრალის ელექტროფიკაცია, რომელმაც სათავე დაუდო ქვეყანაში სარკინიგზო ტრანსპორტის შემდგომ განვითარებას.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

გიორგი ლობჟანიძე: -რუსული მართლმადიდებლობა 90-იან წლებში საქართველოში, აფხაზეთში დასრულდა...

როგორია ომის რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ? როგორი იქნება სამყარო რუსეთის გავლენების შესუსტების შემდეგ? როგორ შეიცვალა კაცობრიობა ომის კვალდაკვალ და ასევე, როგორ შეიცვალა ლიტერატურის როლი და მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში? - ეს ის თემებია, რომელზეც ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის არაბისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, პოეტი და მთარგმნელი <u>გიორგი ლობჟანიძე</u> გვესაუბრა.

- სამყარო დღესაც ისეთივეა, როგორიც მუდამ იყო: სასტიკი. არც ომია ახალი ამქვეყნად და არც ადამიანების მიერ გამოვლენილი სისასტიკე. ნებისმიერი ომის მერე, ეს ქვეყანაც ისეთი აღარ არის, როგორიც მანამდე იყო - უფრო დაუნდობელი ხდება, უფრო ბრიყვი და ცარიელი.

მიჭირს პროგნოზების გაკეთება, თუ რა შეიცვლება მსოფლიოში რუსეთის დამარცხების, მისი გავლენის შერბილების შემდეგ, მაგრამ ბევრი რამ ისე აღარ იქნება, როგორც აქამდე იყო. ვფიქრობ, არაბული და მუსლიმანური აღმოსავლეთიც განვითარების სწორ, ჩარევებისგან თავისუფალ გზებს გამონახავენ. ბევრი, მათ შორის, სირიის კონფლიქტიც რუსული ამბიციებითა და სამყაროში ჰეგემონიისათვის ბრძოლით იყო პროვოცირებული. სირია საბრძოლო არენად გამოიყენეს, სადაც ერთმანეთს სუპერსახელმწიფოების ინტერესები შეეჯახა და ნაცარტუტად აქციეს.

ბოლო წლებში, ისლამი ფაქტობრივად, ტერორიზმთან გააიგივეს, რაც უგუნურებაა. ყველა რელიგია და მათ შორის, ისლამიც, ზნეობის ძალიან მყარ საფუძველზე დგას და ამავეს უქადაგებს თავის აღმსარებლებს. ის მსოფლიოში მეორე რელიგიაა. სრული სიგიჟეა, ამდენი ადამიანი სრულიად უაპელაციოდ გამოაცხადო ტერორისტად. თავად სიტყვა "ისლამი" არაბულად "ღვთისადმი მორჩილებას", "უზენაესის ნებისადმი თავის მიძღვნას" ნიშნავს, რაც ადამიანის მიერ საკუთარი ეგოს თანდათანობით დათრგუნვას და ღვთის მცნებების, ღვთიური კანონების შესაბამისად ცხოვრებას გულისხმობს, რომელიც ადამიანურ სინდისსა და ლოგიკასთანაა თანხვედრაში.

რაც შეეხება "ჯიჰადს", რომელიც მოგვიანებით ჩამოყალიბდა როგორც "საღვთო ომის" თავისებური იდეოლოგია, თუკი ამ ცნებასთან დაკავშირებულ ყურანის შესაბამის მუხლებს ყურადღებით და თანამიმდევრულად წავიკითხავთ, მივხვდებით, რომ "ჯიჰადი" არაბულად "გარჯას", "მონდომებას" ნიშნავს. თუმცა, ყურანში ასახული მითითებები ხომ სხვადასხვა დროს, პოლიტიკური ინსინუაციების შედეგად, არაერთხელ გამხდარა დიდი თუ მცირე სისხლის ღვრის საფუძველი. არადა, ჯიჰადი აგრესია კი არა, ამ აგრესიის მოგერიების აუცილებელი ღონისძიებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავდასხმა კი არა - თავდაცვაა. რაც შეეხება შესაბამისი მითითებების კატეგორიულობას, რბილად რომ ვთქვათ, ისლამში "აბა, ომი გინდათ?!" რიტორიკა არ განიხილება. თუ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მშვიდობის შენარჩუნება უომრად ვერ ხერხდება, მაშინ აგრესიის მოსაგერიებლად აუცილებელია ბრძოლა. პოლიტიკურ მოსაზრებებს არ ვეყრდნობი, ზოგად პრინციპებზე ვლაპარაკობ, როგორც ყურანის მთარგმნელი, თორემ კარგად მესმის, რომ ისლამური სამყარო ძალიან დიდი, ჭრელი, წინააღმდეგობრივია და სისულელე იქნებოდა დებულების მტკიცება, რომ გამონაკლისები არ არსებობს. ტერორიზმს არც ეროვნება აქვს და არც რელიგია.

ამ ჭეშმარიტების ყველაზე მკაფიო დადასტურება რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის სიტყვებში დავინახე, რაც უკრაინელების მისამართით თქვა, - ისინი ამოწყდებიან, ჩვენ კი სამოთხეში შევალთ, როგორც მოწამენიო! შემთხვევითი არ არის, რომ ეს ფრაზა, რომელიც მსოფლიო კოლექტიურმა მეხსიერებამ თუ გამოცდილებამ ისლამთან გააიგივა, დღეს იმ სახელმწიფოს ბელადისაგან მოგვესმა, რომელიც თავს ქრისტიანობისათვის ბრძოლის უკანასკნელ ციტადელად ასაღებს; მართლმადიდებელ ქვეყნად, რომელსაც თავისი იმპერიალისტური და ყოვლად მდაბიო მოთხოვნილებათა შესაფერისად, არ უჭირს უკრაინის მიწაზე გადაწვას მართლმადიდებლური ეკლესია-მონასტრები. სინამდვილეში, რუსეთის, პუტინის მოქმედებას არაფერი აქვს საერთო მართლმადიდებლობასთან. პუტინის ფრაზა ყველა ტერორისტის ღაღადისია, რომელიც თავისი უგვანობის გამართლებას ცდილობს რელიგიურ-ბოდვითი ნარატივით. რეალურად, ყველა რელიგია იქ მთავრდება, სადაც ამ რელიგიის სახელით წარმოებულ ბრძოლას თუნდაც ერთი ბავშვის სიცოცხლე ეწირება. რუსული მართლმადიდებლობა 90-იან წლებში საქართველოში, აფხაზეთში, მოგვიანებით ჩეჩნეთში დასრულდა, ახლა კი საბოლოოდ უკრაინაში დასამარდა.

<u>- სხვა ხალხების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შემდეგ, ერებს ან ქვეყნებს, საერთაშორისო საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში დასაბრუნებლად დრო სჭირდებათ. ამის მაგალითი გერმანელი ერი იყო. ეს ბედი რუსებსაც ელით?..</u>

- ხშირად გვსმენია "ორი რუსეთის" შესახებ ან დავა იმაზე, არსებობს თუ არა რეალურად ეს ორი რუსეთი: ერთი იმპერიალისტური, მუდამ სხვისი დამონების, სხვათა მიწების დაპყრობის მსურველი და მეორე - გახსნილი, ღია, ჰუმანისტური და ადამიანური ღირებულებებით გადანათებული. ამაზე ფიქრისას, მეც სულ წინააღმდეგობრივი აზრები მომდიოდა. ზოგჯერ მეგონა, არსებობდა "ორი რუსეთი", ზოგჯერ კი ამაზე ფიქრიც სასაცილო მიმაჩნდა, ვიდრე მივხვდებოდი, რომ სინამდვილეში რუსეთი უნდა განვიხილოთ, როგორც ერი და როგორც სახელმწიფო. რუსეთის სახელმწიფო იმ სახით, რითაც ის უკვე ისტორიულად არსებობს, ნამდვილი უბედურებაა, მაგრამ რუსმა ერმა, როგორც მარადიულმა კატეგორიამ, ამ უგვანი სახელმწიფოს პარალელურად შექმნა მართლაც დიდი და შთამბეჭდავი კულტურა - ლიტერატურითა და პოეზიით, კინოთი თუ თეატრით, სახვითი ხელოვნებით, ჰუმანიტარული თუ ტექნიკური მეცნიერებებით. პარადოქსია, მაგრამ მეც ამ კულტურის შვილად აღვიქვამ თავს, რადგან რუსულმა ლიტერატურამ ჩემს ადამიანად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა. თუმცა, კაცობრიობის წინაშე რუსული სახელმწიფოს ჩადენილი დანაშაულების ფონზე, ყველაფერი უფასურდება. დგება მომენტი, როცა არც მათი ცვეტაევა გინდა, არც ტოლსტოი და არც დოსტოევსკი. ამას წინათ, სოციალურ ქსელში დავწერე, კულტურას მაშინ აქვს ფასი, როდესაც "ცოცხალია", როცა თავისი შემქმნელი ერის ყოფა-ცხოვრებას განასახიერებს და მის კოლექტიურ თუ პიროვნულ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებს-მეთქი. ბევრი გააოცა ჩემმა პოზიციამ. მსჯელობისას ისიც დაწერეს, ამ ლოგიკით მაშინ გოეთეზე, შილერზე და საერთოდ, გერმანულ კულტურაზეც უარი უნდა ვთქვათო. განწყობასა და პიროვნულ დამოკიდებულებაზეა!.. გაგანია ნაციზმის ეპოქაში რომ მეცხოვრა, არა მგონია, გოეთესა და შილერის წაკითხვის სურვილი გამჩენოდა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად მესმის: ტოტალიტარიზმი, არაადამიანური პოლიტიკური სისტემა,

ადამიანების მასობრივი განადგურების ვნება გამოგონილი იდეალებისა და ცრუპატრიოტიზმის საბაბით, პირველ რიგში, სწორედ საკუთარ კულტურას, ეროვნული იდენტობის გააზრებას უპირისპირდება.

<u>- გარდა ამისა, გერმანელი ერი ლამის დღემდე ბოდიშს იხდის თავისი დანაშაულის გამო...</u>

- რუსის ბოდიში კი ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც თოვლი უდაბნოში. კულტურის სიცოცხლის ნიშანია ისიც, რომ გერმანელი გრძნობს: მისი ბოდიში პირველ რიგში, სასიცოცხლოდ მისთვისვე აუცილებელია და არა იმდენად - დანარჩენი მსოფლიოსთვის. რუსის შემთხვევაში კი ალბათ დიდი ხანია საჭიროა მანამდე, სანამ მისი შეგნება აქამდე ამაღლდება.

<u>- ამბობენ, რომ ომში დაწერილი ლექსი გულსა და გონებაში დაგროვილი ემოციის ამოხეთქვაა... ასეა?..</u>

- ლექსი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ განცდისა და ემოციის სიტყვით გამოხატვა. პოეზია ზოგჯერ წინათგრძნობა უფროა, ვიდრე უკვე განვლილზე, მომხდარზე რეფლექსი. ის აზროვნების ფორმაცაა და მსოფლგანცდაც. მნიშვნელობა არა აქვს, რა პირობებში იწერება ლექსი. მშვიდობიანობის დროს შექმნილი ნამდვილი ლექსი თანაბრად გულისხმობს, უფრო სწორად, თანაბრად უნდა გულისხმობდეს ომსაც და მშვიდობასაც. მგონია, ლიტერატურას ადამიანის, მკითხველის შეცვლა და გადარჩენა შეუძლია. ხანდახან პესიმიზმი მომეძალება, რისთვის ვწერ, უფრო სწორად, რისთვის ვაქვეყნებ ამდენ რამეს, ჩემმა ლექსებმა კი არა, ადამიანი სახარებამაც ვერ გამოასწორა: რა ჭაობიც იყო, იგივე დარჩა-მეთქი. მაგრამ მერე მახსენდება, როგორ მშველოდა ჩემი ცხოვრების უმძიმეს წუთებში გალაკტიონის, ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით წერედიანის, იზა ორჯონიკიძის, ბესიკ ხარანაულის, ვახტანგ ჯავახაძის, ტარიელ ჭანტურიას პოეზია და ვფიქრობ, შეუძლია. მეც ხომ პოეზიამ გადამარჩინა!

<u>- თქვენ ხშირად ხვდებით ახალ თაობას, რა შეგიძლიათ მათზე გვითხრათ - რა აინტერესებთ მათ?..</u>

- საოცარი ახალგაზრდობა გვყავს, თუმცა, ისინი ჩემი თაობისაგან პრინციპულად განსხვავდებიან და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან მე მაინც წიგნის, ბეჭდური სიტყვის თაობა ვარ, ახლანდელი, ჩემი შვილების თაობა კი უკვე ციფრული გენერაციაა. შეიძლება ჩვენ ისე მძაფრად ვერც აღვიქვამთ, მაგრამ სწორედ ჩვენი თაობის სიცოცხლეში მოხდა ძირეული ეპოქალური გარდატეხა: ბეჭდური ეპოქა ციფრული ტექნოლოგიების ეპოქით შეიცვალა და ეს ისეთივე მნიშვნელოვანი ცვლილებაა, როგორც ხელნაწერის, ხელნაწერი წიგნის კულტურის გუტენბერგის მანქანაზე დასტამბული წიგნების ცივილიზაციით ჩანაცვლება. დაბეჯითებით არც იმის თქმა შემიძლია, რომ ახალ თაობას წიგნი აღარ აინტერესებს, როგორც მათ ამას აბრალებენ, მაგრამ თავი სულ კომპიუტერებსა და მობილურებში აქვთ ჩარგული, სადაც მათთვის საჭირო ინფორმაციას თუ განათლებას იღებენ.

ინტერესებისაც რა გითხრათ? როგორც ყველა თაობაში, მათი ინტერესებიც ხშირად რადიკალურად განსხვავებულია.

ლალი პაპასკირი

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ალექსანდრე რამიშვილის კაბინეტი გაიხსნა

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალ ფონდსაცავში არქეოლოგ ალექსანდრე(ბიჭიკო) რამიშვილის კაბინეტის გახსნა ერთგვარი მადლიერების გამოხატვა და პატივის მიგება გახლავთ დიდი მეცნიერისა და არაჩვეულებრივი ადამიანისადმი.

გამორჩეული და საამაყოა ბატონი ბიჭიკოს განსაკუთრებული დამოკიდებულება ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისადმი, რაც 1976 წლიდან დაიწყო. ამ თარიღიდან სიცოცხლის ბოლომდე, ალექსანდრე რამიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომელი იყო და ხელმძღვანელობდა ხაშურის არქეოლოგიურ ექსპედიციას. მის მიერ, ადგილობრივი მხარეთმცოდნეებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, არაერთი საინტერესო არქეოლოგიური ლოკაცია იქნა დაფიქსირებული და მიკვლეული,რამდენიმე მათგანზე ჩატარდა კიდეც საველე არქეოლოგიური სამუშაოები,მოპოვებული მასალის მეცნიერული

კვლევა კი არაერთი საინტერესო ნაშრომის საფუძვლად იქცა. ალ. რამიშვილის ხელმძღვანელობით, ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე, ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა რამდენიმე გამორჩეულ ძეგლზე: სოფ. წაღვლის „მიქელაანთ ვერხვების“ სამაროვანზე(ძვ. წ. მე-17-მე-15 სკ-ები), სოფ. ნაცარგორის მრავალფენიან ნამოსახლარსა და სამაროვანზე და საციხურის გორა-ნამოსახლარზე. ექსპედიციის მიერ მოპოვებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა მთლიანად იქნა გადმოცემული ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის,რაც უპრეცენდენტო შემთხვევა იყო. ხაშურის მუზეუმშივე ხდებოდა მოპოვებული არქეოლოგიური მასალის რესტავრაცია და კონსერვაცია, რამაც ათასობით არქეოლოგიურ არტეფაქტს პირვანდელ სახესთან მიახლოებული იერი დაუბრუნა. ასე ჩაეყარა საფუძველი ჩვენს მუზეუმში არქეოლოგიური ექსპონატების რესტავრაციის არაჩვეულებრივ ტრადიციას, რითაც ასევე არაა განებივრებული საქართველოს ბევრი რეგიონული მუზეუმი.

1998 წელს, ალ. რამიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ზიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიის პრობლემები“. ამ ნაშრომით ავტორმა საფუძველი ჩაუყარა ხაშურის ექსპედიციის შრომების გამოცემას, რა პროცესიც დღესაც ღირსეულად გრძელდება.

ალ. რამიშვილი ნამდვილი მცველი,პატრონი და საქვეყნოდ გამომჩენი იყო ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული არტეფაქტების და შემდეგ უკვე ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატებისა. არასოდეს დაგვავიწყდება ბატონი ბიჭიკოს სიხარული, როცა ის, ჩვენი მუზეუმის საინტერესო არქეოლოგიური ექსპონატებით წარდგა საერთაშორისო მასშტაბის გამოფენაზე: „განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან“, რომელიც 2001-2002 წლებში გერმანიის ქალაქებში, ბოხუმსა და ვისბადენში გაიმართა.

როგორც ერთგული ბუნების ადამიანი, ბატონი ბიჭიკო, გარკვეული დროით, ყოველწლიურად სტუმრობდა სოფ. გომში მდებარე საცავებს, რათა შეესწავლა, ეკვლია ექსპედიციის მიერ მოპოვებული ნივთები და ამასთანავე, მისი ბუნებითი თვისებებიდან გამომდინარე, უბრალოდ, ურთიერთობა ჰქონოდა ჩვენთან,ხაშურის მუზეუმის თანამშრომლებთან. ჩვენთვისაც ძალიან ძვირფასია ბატონ ბიჭიკოსთან გატარებული თითოეული დღე, მასთან ყოფნა ხომ ადამიანური ურთიერთობების შესანიშნავი გაკვეთილები იყო, იშვიათი თავაზიანობითა და მაღალი ინტელექტით შეზავებული.

ჩვენი მუზეუმის არქეოლოგიური ექსპონატები, წლების განმავლობაში, ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო, საცავებში არსებულ არასახარბიელო გარემოებათა გამო.ბოლო წლებში ძალიან გავააქტიურეთ კოლექციებისთვის შესანახი სივრცის გამოყოფის საკითხი და, ადგილობრივი მუნიციპალური ხელისუფლების თანადგომითა და უშუალო ფინანსური მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდა არქეოლოგიური კოლექციების ფონდსაცავისთვის შენობის გამოყოფა და რეაბილიტაცია. დღეს უკვე მიმდინარეობს საცავებში ექსპონატების განლაგების აქტიური პროცესი. ამასთანავე,ალ. რამიშვილის ოჯახის კეთილი ნებით,მუზეუმს გადმოეცა მეცნიერი არქეოლოგის პირადი არქივიც. ბუნებრივად დადგა საკითხი მუზეუმის ახალი ფონდსაცავის შენობაში ალექსანდრე რამიშვილის კაბინეტის დაარსებისა და არსებობის,სადაც გაგრძელდება ინტენსიური მუშაობა არქეოლოგიური კოლექციების თუ ცალკეული საინტერესო ექსპონატების დიგიტალიზაციის,პასპორტიზაციის,მეცნიერული კვლევის მიმართულებით. ამასთანავე,კაბინეტის ფუნქციონირება მუნიციპალური დაქვემდებარების რეგიონალურ მუზეუმში, ძალიან წაადგება დარგით დაინტერესებულ მეცნიერ მკვლევარებსა და სტუდენტ ახალგაზრდობას, გააქტიურდება შემოქმედებითი საქმიანობა საგამოფენო და საგამომცემლო მიმართულებით.

მუზეუმი სიხარულით უმასპინძლებს რეგიონის არქეოლოგიით დაინტერესებულ თითოეულ პირს, მობრძანდით ალ. რამიშვილის კაბინეტში და მიიღეთ ინფორმაცია ბევრ საინტერესო საკითხზე.

მზია ლობჟანიძე,
ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის
ფონდების მთავარი მცველი

ძვირფასო ხაშურელებო!

ასე გამოიყურება დღეს ატრაქციონები და გარე გამოყენების სპორტული ტრენაჟორები ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე.

ფოტოებზე ასახული ვანდალიზმი კომენტარს არ საჭიროებს.

აშკარაა, რომ ეს არ გახლავთ შემთხვევითი დაზიანება. ახსნას არ ექვემდებარება, რატომ უნდა დახარჯოს ადამიანმა ამხელა ძალისხმევა გაკეთებული საქმის გასაფუჭებლად და ზიანის მისაყენებლად.

ვაცნობებთ საზოგადოებას, რომ გარე გამოყენების ტრენაჟორები და საბავშვო ატრაქციონები ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით მოეწყო. პროექტისთვის ბიუჯეტიდან, ჯამში, 60 000 ლარზე მეტი დაიხარჯა. ეს თანხა ეკუთვნის თითოეულ ხაშურელს და ხალხის ქონების მიმართ უდიერი დამოკიდებულება დაუშვებელია.

ამასთან, გვსურს განვაცხადოთ, რომ არავითარი მატერიალური თუ ადამიანური რესურსი არ იქნება საკმარისი, თუ ყველა ადგილას, სადაც მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი მოეწყო, ვიდეოკამერა დამონტაჟდება, ან დარაჯი დაინიშნება.

მოვუწოდებთ ყველას, მაქსიმალურად გავუფრთხილდეთ ჩვენს ქალაქს. სამწუხაროა, მაგრამ გვიწევს მოქალაქეებს შევახსენოთ,რომ თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობაა შევინარჩუნოთ და დავიცვათ, რაც ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის კეთდება.

აქვე მოვუწოდებთ მოქალაქეებს, აუცილებლად მიმართონ სამართალდამცავ სტრუქტურებს, თუ შენიშნავენ, რომ მათ ირგვლივ მყოფი პირები მიზანმიმართულად აზიანებენ ხალხის ქონებას.

მუნიციპალიტეტის მერია

ანონსი

ფეხბურთი

საქართველოს პირველობა
რეგიონლიგა
15 ივნისი
ხაშურის ცენტრალური(ივერიის) სტადიონი
ხაშურის „ივერია“ -თბილისის „გლდანი“
დასაწყისი: 20 სთ.

D წმინდა ნინოს ქ. II - ჩიხის მეზობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყველასთვის საყვარელი კეთილშობილი, უძვირფასესი პიროვნება

ბესიკი (ბესო) მარკოზია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.